



is that the museum collections represent all countries with traditions of silk production. Most of the collections of the museum were collected by N. Shavrov and donated by European, Russian and Caucasian colleagues. The museum and its library furniture themselves are good sample of XIX c. museum of natural history. The museum fund: 5 182 items.

---

აბრეშუმის ძაფების ნიმუშები  
მუზეუმის კოლექციიდან. XIX ს.

**Silk threads**

from Museum collection, XIX c.





## მუზეის მუზეუმი MONEY MUSEUM



მისამართი: 0105, თბილისი,  
გიორგი ლეონიძის ქ. 3/5  
Address: 3/5, Giorgi Leonidze str.,  
0105, Tbilisi  
phone/ტელ: (+995 32) 92 38 06  
E-mail: mtodua@nbg.gov.ge  
www.georgianmuseums.ge  
მუშაობის რეჟიმი: მუშაობს  
ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,  
10 სთ-დან - 16 სთ-მდე  
Working hours: Everyday except  
Saturday and Sunday, 10.00 - 16.00



თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის მონეტები  
King Tamar (XII c.), David Aghmashenebeli  
(XI c.) coins

ვენეციური დუკატი (XVI ს.), ქართული მონეტა (VI ს.)  
Venice Ducat (XVI c.), Georgian coin (VI c.)



მუზეუმი განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში (გაიხსნა 2002 წელს). მასში დაცულია ფულის მოჭრისა და მიმოქცევის ისტორიასთან დაკავშირებული მასალები VI ს-დან XX ს-ის ჩათვლით: კოლხური თეთრი, ალექსანდრე მაკედონელის სტატერი, ანტიკური მონეტები, სასანიური დრამები, არაბული დირჰემები, დემეტრე I-ის, გიორგი III-ისა და თამარ მეფის, ლაშა-გიორგი IV-ის და რუსუდანის მიერ მოჭრილი მონეტები, ვენეციური დუკატი, თურქული ალთუნი, ქართული, რომაული, მონღოლური საფასეები, ირანული აბაზიანები, ავსტრიული და პოლონური ტალერები, თანამედროვე მსოფლიო მიმოქცევაში არსებული ფული, აგრეთვე ფულის თემაზე გამოცემული ლიტერატურა და ფულის მულტიმედიური გამოცემა (კომპაქტ-დისკზე).

The museum is situated in the Georgian National Bank building (has opened in 2002). The museum houses materials describing the history of money from VI c. up to XX c.: Colchian tetri, Alexander the Great stater, antique coins, Sasanian drachmas, Arab dirhems, coins of Georgian kings and Queens Demetre I, Giorgi III, Tamar, Lasha-Giorgi, Rusudan, as well as Venetian ducat, Turkish altun, Iranian abazi, Austrian and Polish tallers, contemporary money of various countries; also there are special literature and multimedia publication of money (on CD).



## დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი

### DAVID BAAZOV GEORGIAN JEW HISTORY MUSEUM

მისამართი: 0105, ქ. თბილისი, ანტონ კათალიკოსის ქ. 3

Address: 3, Anton Katalikosi str., 0105, Tbilisi

Phone/ტელეფონი: (+995 32) 98 90 62, 98 59 92

E-mail: givigambashidze@yahoo.com, ninogambashidze@yahoo.com

www.georgianmuseums.ge

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-18 სთ.

Working hours. Everyday except Saturday & Sunday, 10.00 - 18.00

მუზეუმი დაფუძნდა 1933 წელს. იგი განთავსებულია XX ს-ის დასაწყისის არქიტექტურულ ნაგებობაში ("გუმბათოვანი სინაგოგის" ყოფილ შენობაში). 1951 წელს, საბჭოთა კავშირში მიმდინარე ანტისემიტური მოძრაობის პერიოდში მუზეუმი გაუქმდა, ხოლო ფონდებში დაცული ათასობით უნიკალური ექსპონატი

გადანანილდა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმსა და საცავში. 1992 წელს მუზეუმი აღდგა საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე. მუზეუმის კუთვნილებაა: ლაიამის ბიბლია (X ს.), სხვა უნიკალური ხელნაწერები, ებრაული სარიტუალო დანიშნულების ნივთები, ცნობილი მხატვრების: შალომ

კობოშვილის, სოლომონ გერშოვის, ჯემალ ხუციშვილისა და სხვათა ნამუშევრები, ასევე, მხატვარ მ. კომკაძის ნაქარგობის უნიკალური ნიმუშები. ამჟამად, მუზეუმში მიმდინარეობს რეორგანიზაცია, რის შემდეგაც მას დაუბრუნდება კუთვნილი ექსპონატები.

The museum was established in 1933. The building of the museum was built in the beginning of the XX c (former cupola synagogue). In 1951 during the anti-Semite movement in the Soviet Union the museum was abolished and thousands of items from its funds were re-distributed among other museums and storages. At the moment in the museum is kept little amount of objects, among them are: Jewish ritual objects, silver coin of Georgian King David Narini (XIII c.), XIX c. Silver rimon, Jewish woman wedding dress, paintings of well-known Jew artist Shalom Koboshvili. After the ongoing reorganization the museum will receive back it's items from other museums.



ლაილაშის ბიბლია, ფრაგმენტი, X ს.  
The Bible from Lailashi, detail, X c.

შალომ კობოშვილი, მისიონერების კურთხევა  
("სუკოტის დღესასწაული") 1940-იანი წლები  
Shalom Koboshvili, The prair of the Missions  
(feast of "Sukkot"). 1940s





## სმირნოვების სახლი - "კავკასიური სახლი"

## SMIRNOV'S HOUSE - "CAUCASIAN HOUSE"

მისამართი: 0105, თბილისი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. 20

Address: 20, Galaktion Tabidze str., 0105, Tbilisi

Phone/ტელეფონი: (+995 32) 99 98 49

E-mail: caucasianh@hotmail.com, info@ccrhouse.ge

www.georgianmuseums.ge

Fax: (+995 32) 93 14 35

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 სთ-დან 18 სთ-მდე

Working hours: Everyday except Saturday & Sunday, 10.00 - 18.00

მუზეუმი განთავსებულია XIX ს-ის 60-იან წლებში ალ. პუშკინის, ნ. გოგოლის, ი. ლერმონტოვის მეგობრის, იმპერატორის კარის ფრეილინა ანა სმირნოვა-როსეტის (1809-1882) შვილიშვილის სახლში (არქიტექტორი ოტო სიმონსონი). მისმა შთამომავალმა მიხეილ სმირნოვმა 1985 წელს

საქართველოს საჩუქრად გადასცა სახლი და მისი წინაპრების (სამი თაობის წარმომადგენელთა) კუთვნილი საოჯახო რელიქვიები, რის საფუძველზეც 1985 წელს დაფუძნდა მუზეუმი. ამჟამად მუზეუმში დაცულია: XVIII-XIX ს.ს-ის ფერწერის (ფ. ვინტერჰალტერი, ა. ბრიულოვი, ვ. გაუ,




ფრანც ქსავერ ვინტერჰალტერი

ანა სმირნოვას პორტრეტი. 1837 წ., პარიზი

Franz Xavier Winterhalter, Anna Smirnova's portrait. 1837, Paris

ი. აივაზოვსკი, ჯ. დოუ, ტ. რაიტი, გ. მიტრეიტერი, კ. კრონოვეტერი, ე. ბეკერი, ფ. კრიუგერი და სხვა), სკულპტურის, ლითოგრაფიის (კ. ვიხმანი, ვ. ვერნერი, კ. შულცი, ლ. ვაგნერი და სხვა), გამოყენებითი ხელოვნების უნიკალური ნიმუშები; XVIII-XIX-XX დასაწყისის ფრანგული, ესპანური, პოლანდიური ნარმოების ავეჯი; ბრინჯაოსა და მარმარილოს საათები, ვენეციური შუშის, ფაიანსის, ძვლის ფრანგული, რუსული, გერმანული ნარმოების საოჯახო და პირადი მოხმარების ნივთები (მათ შორის: 1730 წლით დათარიღებული შუშის თასების კოლექცია პეტრე I-ის ქალიშვილის, ელისაბედის ვენზელით, რომელიც მას საჩუქრად გადაუცია სმირნოვების ოჯახითვის), უნიკალური ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია XVIII ს-ის გამოცემები ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ ენებზე (ძირითადად სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა), ფოტო და დოკუმენტური მასალა (4000-ზე მეტი ექსპონატი).



ვასილ რაევი, იტალიური პეიზაჟი, 1843  
Vassily Raev, Italian landscape. 1843



ვენერას დაბადება, XIX ს., დასავლეთ ევროპა  
The birth of Venus, XIX c. West Europe

The museum is situated in the house of grandson of the maid of honour Anna Smirnova-Rosetti (1809-1882), a friend of A.Pushkin, N.Gogol, Y. Lermontov (architect of the house was Otto Simonson). In 1985, her descendant Mikhail Smirnov presented to Georgian State house and relics once belonged to three generations of his ancestors that made a basis for the museum (4.000 items). At the moment, the museum houses collection of the XVIII-XIX c.c. paintings (Franz Xavier Winterhalter, Karl Briulov, Ivan Aivazovski, etc.), Sculpture, lithography (K.Wichman, K. Shulz, L. Wagner, etc.), applied art; XVIII-XIX-XX c.c. French, Spanish, Dutch unique furniture; bronze and marble clocks; Venetian glass, faience, bone household and personal objects produced France, Russia, Germany (among them is a collection of glass cups, dated 1730, with monogram of Elisabeth, daughter of Peter I, that was presented by her to the Smirnov family), unique library with XVIII editions in French, Italian, German languages, photographs and documents.

# ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის სახლ-მუზეუმი

## VERIKO ANJAPARIDZE & MIKHEIL CHIAURELI HOUSE MUSEUM



მისამართი: 0179, თბილისი,

ვერიკო ანჯაფარიძის ქ. 16

Address: 16, Veriko Anjaparidze str.,  
0179, Tbilisi

phone/ტელეფონი: (+995 32) 22 13 38

www.georgianmuseums.ge

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ორშაბათს,  
ოთხშაბათს და პარასკევს, 11- 17 სთ

Working hours: Everyday except Monday,  
Wednesday & Friday, 11.00 - 17.00

The museum (established in 1992, more than 12.000 items) houses archives of well-known Georgian of theatre and movie artists Veriko Anjaparidze (1900-1987), Mikheil Chiaureli (1894-1974), Sopiko Chiaureli and Kote Makharadze (1926-2004), rich photo archive, audio-video records, manuscripts, letters, household objects (antiquarian furniture, crockery, clothes), painting presented by well-known Georgian artists to the family (among them are works of N. Piroshmanashvili, L. Gudishvili, E. Akhvlediani, K. Magalashvili, P. Otskheli, R. Mirzashvili, T. Khutsishvili, I. Toidze, Z. Nizharadze), as well as caricatures, sketches, sculptures, etc. of Mikheil Chiaureli. There are *Theatre of one actor*.

მუზეუმი დაფუძნდა 1992 წელს. მასში დაცულია 12 000-ზე მეტი ექსპონატი. მათ შორის: ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი მოღვაწეების ვერიკო ანჯაფარიძის (1900-1987 წწ.), მიხეილ ჭიაურელის (1894-1974 წწ.), კოტე მახარაძისა (1926-2004 წწ.) და სოფიკო ჭიაურელის არქივები, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მდიდარი ფოტო-აუდიო-ვიდეო მასალები, ხელნაწერები, წერილები, საოჯახო ნივთები (ანტიკვარული ავეჯი, ჭურჭელი, სამოსელი), ცნობილ ქართველ მხატვართა ფერწერული ტილოები (მათ შორის: ნიკო ფიროსმანაშვილის "ბიჭის პორტრეტი", ლადო გუდიაშვილის "პარიზელი არმიყი ქალების დაკითხვა", ელ. ახვლედიანის "ძველი თბილისი", ქ. მაღალაშვილის, პ. ოცხელის, რ. მირზაშვილის, თ. ხუციშვილის, ირ. თოიძის, ზ. ნიჟარაძის ნამუშევრები), მიხეილ ჭიაურელის მიერ შესრულებული შარჟები, ნახატები, ქანდაკებები და სხვა. აქვე ფუნქციონირებს "ერთი მსახიობის თეატრი".



საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის  
ხელნაწერთა ინსტიტუტი

KORNELI KEKELIDZE INSTITUTE OF MANUSCRIPTS OF GEORGIA

მისამართი: 0193, თბილისი, მერაბ ალექსიძის 1/3

Address: 1/3, Merab Alexidze str., 0193, Tbilisi

Phone/ტელეფონი: (+995 32) 364 185, 363 241

Fax: (+995 32) 363 241

E-mail: manuscript@Caucasus.net

www.georgianmuseums.ge

სამუშაო საათები: მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11 სთ-დან 17 სთ-მდე

Working hours: Everyday except Sunday & Monday, 11.00 - 17.00

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი დაფუძნდა 1958 წელს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე. ინსტიტუტის ფონდებში დღეისათვის დაცულია 170 000-ზე მეტი ექსპონატი ქართულ, ბერძნულ, ებრაულ, სირიულ, ეთიოპურ, სომხურ, არაბულ, სპარსულ, თურქულ, სლავურ ენებზე (მოყოლებული I ს-დან XX ს-ის ჩათვლით.) ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სამუზეუმო საქმის ორგანიზება თანამედროვე დონეზე და ხელშეწყობა საერთაშორისო თანამ-


შრომლობისათვის. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: ადგილობრივ და უცხოეთის (უმთავრესად ათონის, სინას მთისა და იერუსალიმის) საცავებში დაცული ხელნაწერი ნიგნების, ისტორიული დოკუმენტებისა და პირადი არქივების აღწერა-სისტემატიზაცია, შესწავლა და პუბლიკაცია; ხელნაწერთა დაცვის, დიაგნოსტიკისა და რესტავრაცია-კონსერვაციის ორგანიზება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

ჯრუჭის II ოთხთავი. XII ს.

Jruchi II Four Gospels. XII c.








ბერთის ოთხთავი. ბეშქენ ოპიზარი. XII ს.  
Berti Four Gospels. Beshken Opizari. XII c.



ვანის ოთხთავი. XII-XIII სს.  
Vani Four Gospels. XII-XIII cc.

The Institute was established in 1958, on the basis of the State Museum of Georgia. In the funds of the Institute are stored more than 170.000 items in Georgian, Greek, Hebrew, Sirian, Ethiopian, Armenian, Arabic, Persian, Turkish, Slavic languages (dated from I c. up to XX c.). One of the most important aims of the Institute of Manuscripts is organization of the on contemporary level and assistance to international collaboration in the field. The main directions of the scientific research and international relations are: description, systematization, studying and publishing of manuscripts, historical documents and personal archives of local and foreign (mostly Aphon, Sinai Mountain and Jerusalem) origin; organization of manuscripts care, diagnostics and conservation-restoration according the international standards.

მცირე სვინაქსარი. მინიატურა. 1030  
Small Sunago. Miniature. 1030



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმი  
MUSEUM OF TBILISI STATE ACADEMY OF FINE ARTS



მისამართი: 0108, თბილისი, ა. გრიბოედოვის 22  
Address: 22, Griboedov str, 0108, Tbilisi  
Phone/ტელეფონი: (+995 32) 93 29 72, 93 68 89  
www.georgianmuseums.ge  
მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე,  
10 სთ-დან 17 სთ-მდე  
Working hours: Everyday 10.00 - 17.00

მუზეუმში დაცულია თბილისის სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა და პედაგოგთა ნამუშევრები (მოყოლებული XX ს-ის 30-იანი წლებიდან), ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ჩანახატები და ესკიზები. მუზეუმის ფონდი: 2500 ექსპონატი.

The museum houses works of graduates, post-graduates, and teachers (from the 30-ies of XX c.). There are paintings, graphics, sculptures, decorative-applied art works, sketches and drafts. The museum fund: 2500 items.



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის  
გობეაქანის მუზეუმი

TAPESTRY MUSEUM OF TBILISI STATE ACADEMY  
OF FINE ARTS

მისამართი: 0179, თბილისი, შარდენის ქ. 19

Address: 19, Shardeni str., 0179, Tbilisi

Phone/ტელეფონი: (+995 77) 73 03 00

www.georgianmuseums.ge

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე,

10 სთ-დან - 19 სთ-მდე

Working hours: Everyday 10.00 - 19.00



მუზეუმი დაფუძნდა 2006 წელს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის შემოქმედებითი სახელოსნოს ბაზაზე. მუზეუმში დაცულია ფაკულტეტის სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და პედაგოგთა ნამუშევრები (მოყოლებული XX ს-ის 60-იანი წლებიდან). მუზეუმში ფუნქციონირებს სახელოსნო, სადაც სტუდენტები მუშაობენ და თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "თინათინი", რომელიც მნახველს სთავაზობს ტრადიციისა და თანამედროვეობის სინთეზის საფუძველზე შექმნილ კოსტუმებს, სხვადასხვა აქსესუარებსა და დიზაინერულ ობიექტებს.

The museum was established in 2006, on the basis of Artistic Workshop of the Design Department of the Tbilisi State Academy of Fine Arts. The museum houses works of graduates, post-graduates, and teachers (from the 60-ies of XX c.). At the museum there are a workshop for graduates and a modern Georgian textile gallery *Tinatin*, are presented textile artifacts (clothes, various accessories and designer objects) demonstrating the synthesis of modern and traditional approach.



# ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი LITERATURE-MEMORIAL MUSEUM OF ILIA CHAVCHAVADZE

მისამართი: 0105, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქ. 7

Address: 7, Ivane Javakhishvili str., 0105, Tbilisi

Phone/ტელეფონი: (+995 32) 95 70 78, 95 72 68

www.georgianmuseums.ge

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე, კვირა-ორშაბათის გარდა, 11 სთ.-დან 17 სთ.-მდე

Working hours: Everyday except Sunday & Monday, 11 00 - 17 00



ლოები, გრაფიკული ნამუშევრები, ილიას თხზულებათა გამოცემები და სხვა (9000 ექსპონატი).

The Literature-Memorial Museum of Iliia Chavchavadze (1837-1907), Georgian writer and a public figure of special importance, is a memorial complex (was established in 1957, 9.000 items) that include Iliia Chavchavadze House Museum in Tbilisi, Literature-Memorial Museum, here used to be office and typography of the newspaper "Iveria". The museum houses materials of Iliia Chavchavadze's life and work: memorial belongings (study room, bedroom, and library; furniture, crockery, etc.), documents and photo archive (among them photographs by D. Ermakov), periodicals published by Iliia Chavchavadze, manuscripts, XIX-XX c.c. paintings and graphics, various editions of Iliia Chavchavadze works, etc.

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის (1837-1907 წწ.) ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი (დაფუძნდა 1957 წელს) წარმოადგენს მემორიალურ კომპლექსს, რომლის შემადგენლობაში შედის ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმი, ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, სადაც განთავსებული იყო გაზეთ "ივერიის" რედაქცია და სტამბა. მუზეუმში დაცულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები: მემორიალური ნივთები (კაბინეტი, საძინებელი და სასადილო XIX ს-ის ავეჯით, ჭურჭელი, სხვადასხვა სახის სამშვენიისები, ბიბლიოთეკა), დოკუმენტური და ფოტომასალა (მათ შორის დ. ერმაკოვის ფოტოები), ილიას მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთები, ხელნაწერები, XIX ს-ისა XX ს-ის დასაწყისის ფერწერული ტი-



**სამეგრელო-ზემო სვანეთი**  
**SAMEGRELO-ZEMO SVANETI**



სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი  
(საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

SVANETI HISTORY-ETHNOGRAPHY MUSEUM  
(GEORGIAN NATIONAL MUSEUM)

მისამართი: 3200, დაბა მესტია,  
სტალინის ქ. 40

Address: 40, Stalini str., 3200 Mestia

phone/ტელეფონი: (+995 236) 2 21 58

web-site: www.museum.ge

E-mail: info@museum.ge

მუშაობის რეჟიმი: ყოველდღე, 10-17 სთ  
ორშაბათის გარდა

Working hours: Everyday except

Monday, 10.00 - 17.00

დაფუძნდა 1936 წელს. სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია 4000 - ზე მეტი ექსპონატი. მათ შორისაა: სვანეთის რეგიონის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხ-



რების შედეგად მოპოვებული მასალები, ქართული ჭედური ხელოვნებისა და ხატუნერის უნიკალური ნიმუშები (X ს-ის მაცხოვრის ხატი, XI ს. I ნახევრის ხატები აღსაყდრებული ქრისტეს გამოსახულებით და ასანის წმ. გიორგის ხატი, XII ს-ის "ორმოცი მონამის ხატი" და "ჯვარცმის ხატი", ლეთისმშობლის IX-X ს.ს-ის ფერწერული ხატები და სხვა, სარიტუალო ნივთები IX - XIV ს.ს-ის სამწერობლები და სხვა), უძველესი ხელნაწერები (XI XIII ს.ს-ის ჰადიშის, ლაბსყალდის, იენაშისა და მესტიის ხელნაწერი ოთხთავები მოჭედილი ყდებით), ადრეული და გვიანი შუასაუკუნეების საომარი აღჭურვილობის, რკინის, ვერცხლის, სპილენძის ნაკეთობების, სამკაულების, ჭურჭლის, ქსოვილების ნიმუშები, ძველი სვანეთის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები და სხვა.

წმინდა ორმოცი სებასტიელი მონამე  
ფერწერული ხატი სოფ. იფხის წმ. გიორგის  
ეკლესიიდან. XII ს.

The Forty Martyrs of Sebasteia  
Icon. painling. St. George church.  
Village Ipkhi. XII c.

წმინდა გიორგი, ფერწერული ხატი, XIII ს.  
Saint George. Icon. painting, XIII c.





The museum (established in 1936) houses more than 4.000 items: archaeological objects discovered in Svneti region, unique samples of engraved and painted icons (of special interest are X-XII c.c. icons), religious objects (IX-XIV c.c.), manuscripts (XI-XIII c.c. New Testaments from Adishi, Labskaldi, Ienashi, Mestia), weapons and armor, iron and cooper items, wooden ethnographic objects, adornments, silverware, textiles, etc.

წმინდა ზაქარიას ხატი, XI ს.  
St. Zakaria Icon, XI c.

ტრიპტიქონი, XII ს., ლაგურკა  
Tryptich, XII c., Lagurka







დადიანების სასახლეთა სახელმწიფო  
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი

**DADIANI PALACES STATE HISTORY & ARCHITECTURE MUSEUM**

მისამართი: 2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზირი 2


**Address:** 2, Zviad Gamsakhurdia str., 2100, Zugdidi

**Phone/ტელეფონი:** (+995 215) 5 06 42, 5 16 94

[www.georgianmuseums.ge](http://www.georgianmuseums.ge)

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 9 სთ-დან 18 სთ-მდე

**Working hours:** Everyday except Monday, 9.00 - 18.00



მუზეუმი დაფუძნდა 1921 წელს. სამუზეუმო კომპლექსი შედგება სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა და თავად ნიკო დადიანის სასახლეებისაგან (XIX ს-ის 60-90-იანი წწ., არქიტექტორები ე. რაისი და ლ. ვასილევი), კარის ეკლესიისა და დადიანების მიერ გაშენებული ბოტანიკური ბაღისაგან. მთავარმა დავით დადიანმა სასახლეში ჯერ კიდევ 1850-იან წლებში გახსნა მუზეუმი, სადაც განთავსებული იყო ანტიკურ ქალაქ არქეოპოლისის (ნოქალაქევი) არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უნიკალური ნუმიზმატიკური მასალა, შუასაუკუნეების ევროპული საბრძოლო აღჭურვილობა, ეთნოგრაფიული და სახვითი ხელოვნების ნიმუშების დადიანებისეული კოლექცია. ამჟამად მუზეუმში და-

ნილაბი. მაკიდის დეტალი. საფრანგეთი. XVIII ს-ის ბოლო

Mask. Detail of table. France. The end of XVIII c.



ცულია 44 475 ექსპონატი, მათ შორის: ძვ. წ. I ს. - ახ. წ. XIX ს-ის ოქრომჭედლობის ნიმუშები (ხატები და საეკლესიო დანიშნულების სხვა ნივთები, ნატიფი ხელოვნების ნიმუშები), ანტიკური საბერძნეთისა და ძველი კოლხეთის კულტურის ამსახველი არქეოლოგიური მასალა, ქრისტიანული სინამდებების კოლექცია, ევროპული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები (ბულეს, როკოკოს, ამპირის სტილი); სამეგრელოს მთავართა, საფრანგეთის (მათ შორის განსაკუთრებით მრავლადაა ნაპოლენ ბონაპარტეს სახელთან დაკავშირებული ნივთები, რომლებიც სასახლეში აღმოჩნდა დავით დადიანის სიძის - აშოლ მიურატის მეოხებით) რუსეთის, ესპანეთის საიმპერატორო ოჯახის წევრთა რელიქვიები, XV-XIX ს-ის ხელნაწერი ნიგნები და სიგელ-გუჯრები, ნაპოლენ ბონაპარტესა (6000 ტომი) და დადიანების ბიბლიოთეკა, ევროპისა



თავილონის განძი  
ოქრო, ძვ. წ. II ათასწლეული  
**Treasury from Tagiloni. Gold.**  
II millennium B.C.

ილორის წმ. გიორგის ხატი. XVII ს.  
**St. George Icon from Ilori. XVII c.**






ნიკო დადიანი. უცნობი მხატვარი, 1872  
Niko Dadiani. Unknown artist 1872

და აზიის საბრძოლო იარაღების ნიმუშები, რუსი "პერედვიჟნიკების", ფრანგი ბატალისტებისა და ინგლისელი "მარინისტების" ფერწერული ტილოები, მდიდარი ფოტოფონდი (5000 ფოტო), ფრანგული, გერმანული, ჩინური, რუსული და სხვა წარმომავლობის ბროლის, ფაიფურ-ფაიანსის ქურჭელი და სხვა.



The museum was established in 1921. The museum complex includes: palaces of the Samegrelo (West Georgia) queen Ekaterine Chavchavadze-Dadiani and Prince Niko Dadiani, court church, and the botanic garden (60-90-ies of the XIX c., architects: E. Rais and L.Vasiliev). In 1850-ies, Prince David Dadiani organized a museum in the palace, where were displayed discovered during accidental excavations unique numismatic materials from the Archaeopolis (Samegrelo region, present day village Nokalakevi), the antique period town, as well as Dadiani family collections of medieval European armor and weapons, ethnographic objects, and fine art. At the present in the museum are kept: samples of the I c. B.C. XIX c. A.D. goldsmith works (icons, various religious objects, fine art samples); archaeological materials representing antique period Greek and Georgian culture; collection of Christian sacred objects, samples of European applied art (of Boulet, Rococo, Empire styles); relics of Samegrelo princes, royal families of France (numerous items connected with the Napoleon Buonaparte, from Ashil Mirurat Son in law of David Dadiani), Russia, Spain; XV-XIX cc. Manuscripts and charters; libraries of Napoleon (6.000 items) and Dadiani family; samples of European and Asian weapons; collection of paintings of Russian peredvizhniks, French painters of battle-pieces, and English painters of seascapes; rich collection of photographs (5.000 items); collection of crystal, china and faience crockery French, German, Russian, etc. The museum funds: 44 475 items. *Branch:* Iona Meunargia House Museum (Tsaishi village).





## კოლხური კულტურის მუზეუმი MUSEUM OF COLCHIAN CULTURE

მისამართი: 4400, ფოთი, 26 მაისის ქ 9  
**Address:** 9, 26 May Str., Poti, 4400.  
**Phone/ტელეფონი:** (+995 293) 2 35 02  
**E-mail/ელ-ფოსტა:** varlamgoguaдзе@rambler.ru  
[www.georgianmuseums.ge](http://www.georgianmuseums.ge)  
**მუშაობის რეჟიმი:** მუშაობს ყოველდღე.  
 ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 18 სთ-მდე  
**Working hours:** Everyday except  
 Monday, 10.00 - 18.00

მუზეუმი დაფუძნდა 1933 წელს. იგი განთავსებულია 1908 წელს აგებულ შენობაში. მუზეუმის ფონდი ძირითადად შედგება ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალისგან, რომელთა ქრონოლოგია მოიცავს ძვ. წ. III ათასწლეულიდან ჩვ. წ. აღ-ის VII-VIII სს-ის პერიოდს. მათ შორისაა ფე-

ქსანდრე მაკედონელის, იუსტინიანეს, ოქროს მონეტები, კოლხური თეთრი, ეთნოგრაფიული მასალა (XIX-XX ს.ს. მიჯნა), ფოთის ისტორიასთან დაკავშირებული დოკუმენტური და ფოტომასალა. მუზეუმში დაცულია 7689 ექსპონატი. ფილიალი: ნიკო ნიკოლაძის მუზეუმი (ფოთი).

The museum was established in 1933, it is located in building, built in 1908. The museum funds represent archaeological discoveries of the historical Kolkheti (Cholcha, at the present West Georgia), the chronological frames of the collections are III Millennium B.C. VII-VIII c.c. A.D. There are significant collection objects made of non-ferrous metals (from antiquity up to medieval times), numismatic collection (gold coins of Alexander the Great, Justinian, Cholchian tetri); ethnographic collection (end of the XIX c. beginning of the XX c.); documents and photographs of the history of Poti. The museum fund: 7689 items. Branch: Niko Nikoladze Museum (Poti).



იუსტინიანეს მონეტა  
 ოქრო. VI ს.  
 Justinian coin  
 Gold. VI c.

რადი ლითონების ნაკეთობათა კოლექცია (ანტიკური პერიოდიდან შუა საუკუნეებამდე), ნუმიზმატიკა (ალე-



**პარმენ ზაკარაიას სახელობის ნოქალაქევის  
არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი**

**PARMEN ZAKARIAIA NOKALAKEVI ARCHAEOLOGY  
MUSEUM-RESERVE**

მისამართი: 4115, სენაკის რ-ნი, სოფ. ნოქალაქევი

Address: 4115, Village Nokalakevi, Senaki District

Phone/ტელეფონი: (+995 8 213) 5 00 60

Website/ვებ-გვერდი: [www.nokalakevi.ge](http://www.nokalakevi.ge), [www.georgianmuseums.ge](http://www.georgianmuseums.ge)

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე

Working hours: Everyday except Monday, 10.00 - 16.00


მუზეუმ-ნაკრძალი (დაფუძნდა 1979 წელს) მოიცავს ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს - ნოქალაქევი (ციხე-გოჯი, არქეოპოლისი). ნოქალაქევის ყველაზე ადრეული არქეოლოგიური ფენები და აქ აღმოჩენილი ნივთები თარიღდება ძვ. წ. VIII-VII ს.ს-ით. მათ შორისაა: სხვადასხვა ცხოველთა (ცხვარი, ლორი,

ცხენი) კერამიკული ქანდაკებები, ძვ. წ. VI-IV ს.ს-ის ფენებიდან გამოვლენილი როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე იმპორტული თიხის ჭურჭელი (ამფორები), ელინისტური ხანის (ძვ. წ. III - I ს.ს.) ორმოსამარხები და ქვეერსამარხები მდიდრული სამარხეული ინვენტარით: ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, მინისა და პასტის მძივები, ბეჭდები, სა-



the most important monument of the early medieval times Georgia. The earliest archaeological strata in Nokalakevi are dated VIII-VII c.c. B.C., In this layers are discovered ceramic figurines of various animals (sheep, pig, horse), of special interest are two-headed figurines; In VI-IV c.c. B.C. layers are discovered ceramic crockery, both produced locally and imported. In Nokalakevi were disco-

ყურები, სასაფეთქლეები, სამაჯურები და სხვა. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილია აგრეთვე საერო არქიტექტურის ნიმუშები (სასახლეები, აბანოები), ქრისტიანული ტაძრები, წყალსაცავი, გვირაბი და სხვა სახის სამეურნეო თუ საფორტიფიკაციო ნაგებობები. ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია XVI-XVIII ს.ს-ის მცირე ზომის სასახლე, ძველ გალავნებზე და კოშკებზე - შედარებით ახალი სამშენებლო ფენებიც. მუზეუმ-ნაკრძალის ფონდებში დაცულია 3450 ექსპონატი.



vered also Hellenistic period (III-I B. C.) rich burials, where were found necklaces made of gold, silver, bronze, glass, and pasta, also rings, templar pendants, bracelets, etc. There are discovered also a rich ceramic material (of special interest are amphorae). In the area were also discovered palaces, Christian churches, bathes, cistern, tunnel and other kinds of household and fortification buildings. In the same area was discovered small palace (XVI-XVIII c.c.), and also there are some layers of late work seen in the old walls and towers. The museum fund: 3450 items.

The Museum-Reserve was established in 1979. Nokalakevi (in past Tsikhe-Goji, Archaeopolis) is one of



გივი ელიაშვილის სახელობის მარტვილის  
მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

GIVI ELIAVA MARTVILI LOCAL MUSEUM

მისამართი: 3100, მარტვილი, გივი ელიაშვილის ქ. 4

Address: 4, Givi Eliava str., 3100, Martvili

Phone/ტელეფონი: (+995 218) 2 12 38

www.georgianmuseums.ge

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე, შაბათ- კვირის გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე


Working hours: Everyday except Saturday & Sunday, 10.00 - 16.00

მუზეუმი დაფუძნდა 1957 წელს. მუზეუმში ძირითადად დაცულია არქეოლოგიური მასალა, რომლის ქრონოლოგია მოიცავს ადრეული ქვისა და ბრინჯაოს ხანის პერიოდს (სამუშაო და საბრძოლო იარაღები, სარიტუალო ქვები, სხვადასხვა მასალისგან დამზადებული სამკაულები, ძვ. წ. VII-VI სს-ის ბრინჯაოს ფიგურა, ფიბულები სხვადასხვა გამოსახულებებით და სხვა). აგრეთვე მდიდარი ნომისმატიკური მასალა: ძვ. წ. IV-II სს-ის ოქროს მონეტები, კოლხური თეთრი, X-XVIII სს-ის ვერცხლის მონეტების კოლექცია, XVIII-XIX სს-ის ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები და სხვ., ქართველ მხატვართა ფერწერული (ლ. გუდიაშვილი, ელ. ახვლედიანი, მ. თოიძის, რ. სტურუას, ს. მანისაშვილის) ნამუშევრები, ირ. ოჩიაურის, ჯ. ბუაღავას ქანდაკებები. მუზეუმს აქვს უნიკალური კოლხური ვაზის საკოლექციო ნაკვეთი და ეთნოგრაფიული კუთხე. მუზეუმში დაცულია 55 064 ექსპონატი.

The Museum-Reserve was established in 1957, it houses collections of archaeological materials of the Early Stone Age and the Bronze Age (implements, weapons, ceremonial stones, adornments made in various materials, VII-VI c.c. B.C. bronze sculptures, fibulas with various images, etc.). The

rich numismatic collection includes IV-II c.c. B.C. gold coins, Cholchian tetri, collection of X-XVIII c.c. silver coins. There are also collection of XVIII-XIX c.c. Manuscripts and charters, etc., collection of paintings of XX c. Georgian artists: L. Gudiasvili, E. Akhvlediani, R. Sturua, M. Toidze, as well as sculptures of I. Ochiauri, J. Bzhalava. The museum owns land with a vineyard with a unique Cholchian vine, as well as ethnographic section. The museum fund: 55 064 items.

მქადაგებელი  
ბრინჯაო. ძვ. წ. VII-VI სს.  
Preacher Bronze.  
VII-VI cc. B.C.





ბორდოხან დედოფლის (თამარ მეფის დედის) ხატი. ოქრო, ვერცხლი, ფერწერა. XII ს.  
Icon of Queen Bordokhan (mother of King Tamar). Gold, silver, painting. XII c.

დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის კოლექციიდან  
From the collection Dadlani Palaces History & Architecture Museum

**რატა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**  
**RACHA-LECHKHUMI-KVEMO SVANETI**





## ლადო მუსელიანის სახელობის ლენტეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

### LADO MUSELIANI LENTEKHI LOCAL MUSEUM

მისამართი: 2900, ლენტეხი, თამარ მეფის ქ. 49

Address: 49, King Tamar str., 2900, lentekhi

Phone/ტელეფონი: (+995 99) 16 32 24

[www.georgianmuseums.ge](http://www.georgianmuseums.ge)

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე, კვირა-ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე

Working hours: Everyday except Sunday & Monday, 10.00 - 16.00

მუზეუმში (დაფუძნდა 1937 წელს) დაცულია ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა (შრომისა და საბრძოლო იარაღები, სამკაულისა და კერამიკის ნიმუშები), XI ს-ის სარიტუალო ჯვარი და კვერთხი, ეკლესიის საკურთხევლის დეტალები ქრისტეს გამოსახულებით, XVII - XVIII სს. ხელნაწერი ლოცვები. მუზეუმში დაცულია ქვემო სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველ ექსპონატთა საინტერესო კოლექცია, რომელიც ექსპონირებულია მუზეუმის კუთვნილ სვანური ტიპის საცხოვრისში (მაჩუბი). მუზეუმში დაცულია 3 300 -ზე მეტი ექსპონატი.

The museum was established in 1937, it houses the Bronze Age archaeological materials (implements and weapons, samples of adornment and ceramics), XI c. ceremonial cross and crozier, details of the church altar with Christ image, XVII-XVIII c.c. manuscript prayer-book. Lower Svaneti ethnography collection is displayed in machubi local type of traditional dwelling. The museum fund: more 3 300 items.



TSAGERI LOCAL MUSEUM

მისამართი: 5100, ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. 20

Address: 20, Rustaveli str., 5100 Tsageri

Phone/ტელეფონი: (+995 238) 22 57, (+995 99) 24 18 70

www.georgianmuseums.ge

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე

Working hours: Everyday except Saturday & Sunday, 10.00 - 17.00

მუზეუმში (დაფუძნდა 1937 წელს) დაცულია ქვემო სვანეთსა და ლეჩხუმში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა, რომელიც ძირითადად მოიცავს ადრეული და გვიანი ბრინჯაოს ხანას, ანტიკურ პერიოდს. მათ შორისაა: ბრინჯაოს განძი, აღმოსავლური და კოლხური ბრინჯაოს სტილიზებული ცულები, კავკასიური სიკილი, ხეთური ლაგამი, ქვის ხანის იარაღები: ცულნერაქვი, ისრისპირები, სახნისი, დანები; ნუმისმატიკის ნიმუშები (ალექსანდრე მაკედონელის მონეტა, კოლხური თეთრი და სხვ.), იშვიათი ბიბლიოგრაფიული გამოცემები. მუზეუმში დაცულია 15 500-ზე მეტი ექსპონატი. მუზეუმის ფილიალი: ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი (სოფელი ბარდნალა).



The museum was established in 1937, it houses archaeological collections from Lower Svaneti and Lechkhumi regions (West Georgia), mostly it is dated Bronze Age and Antiquity periods. Among the items are: bronze horse rider, bronze treasury, stylized eastern and Cholchian bronze axes, Caucasian sickle, Hittite bridle, Stone Age implements axes, arrowheads, knives; collection of coins coin of Alexander the Great, Cholchian tetri, etc.; rare books (XIX c.). More 15 000 items. Branch: Lado Asatiani House Museum (village Bardnala).



მხედარი. ბრინჯაო.  
ძვ.წ X-VIII ს.ს.  
Rider. Bronze.  
X-VIII cc. B. C.



ONI LOCAL MUSEUM

მისამართი: 3600, ქ. ონი, რუსთაველის ქ. 26  
 Address: 26, Rustaveli str., 3600, Oni  
 Phone/ტელეფონი: (+995 99) 376 863  
 www.georgianmuseums.ge  
 მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე,  
 შაბათ-კვირის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე  
 Working hours: Everyday except  
 Saturday & Sunday, 10.00 - 17.00

მუზეუმში (დაფუძნდა 1952 წელს) დაცული არქეოლოგიური მასალა მოიცავს ქვეყნის ისტორიულ-კულტურული განვითარების სხვადასხვა პერიოდს (ქვის ხანიდან გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით). ექსპონატთა უმრავლესობა განეკუთვნება ბრინჯაოს პერიოდს. მათ შორისაა: ჭვირული ასტრალური ბალთები, ხარის საბუზარები, ქალის სამკაულები, საბრძოლო და შრომის იარაღები, X-XI სს-ის ნმ. გიორგისა და ნმ. სამების ეკლესიების არქიტექტურული დეტალები, X-XIV სს-ის ფულის ნიმუშები, XIX ს-ის ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები, ხელნაწერი და ბეჭდური წიგნები, XX ს-ის ცნობილ ქართველ მხატვართა ფერწერული ტილოები (უჩა ჯაფარიძე, ვალენტინ შერპილოვი, ვასილ შუხაევი, სერგო ჩახოიანი და სხვა). მუზეუმში დაცულია 15 500-ზე მეტი ექსპონატი.



ნმ. გიორგის ეკლესიის სარკმლის რელიეფის ფრაგმენტი. X ს.  
 Relief of window.  
 detail. St. George's Church X c

The museum was established in 1952, it houses several collections: archaeological (from the Stone Age up to late medieval times, most of items are the Bronze Age dated) bronze figurine of a sheep, open-work astral buckles, bull decorations, adornments, fragments of weapons and implements; Collection of architectural details and relief fragments from X-XI c.c. St. George and St. Trinity churches; samples of X-XIV cc. coins; ethnographic objects; manuscripts and printed books; paintings of XX c. well-known artists (Ucha Japaridze, Valentin Sherpilov, Vasil Shukhaev, David Nalbandian, Sergo Chakhoi-an, etc.). The museum fund: More 15 000 items.



ბრინჯაოს ჭვირული ბალთა. II-III სს.  
 Buckle. Bronze. II-III c.c.



## ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი AMBROLAURI FINE ART MUSEUM

მისამართი: 0400, ამბროლაური, თამარ მეფის ქ. 4

Address: 4, King Tamar str., 0400, Ambrolauri

Phone/ტელეფონი: (+995 99) 95 14 35

[www.georgianmuseums.ge](http://www.georgianmuseums.ge)

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე

Working hours: Everyday except Saturday & Sunday, 10.00 - 17.00


მუზეუმში (დაფუძნდა 1965 წელს) დაცულია XX ს-ის ცნობილი ქართველი მხატვრების - ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის, დავით კაკაბაძის, უჩა ჯაფარიძის, კობა გურულის, ავთო ვარაზის, ლევან ცუცქერიძის, ნათელა იანქოშვილის და სხვათა ფერწერული ტილოები და გრაფიკული ნამუშევრები (551 ექსპონატი).


დავით კაკაბაძე. სვანეთი  
David Kakabadze. Svaneti



The museum was established in 1965, it houses collection of the paintings and graphics of well-known Georgian artists of XX c.: Lado Gudishvili, Elene Akhvediani, David Kakabadze, Ucha Japaridze, Koba Guruli, Avto Varazi, Levan Tsutskiridze, Natela Iankoshvili, etc. (551 items).

უჩა ჯაფარიძე. ნისქელი სოფ. ლარში  
Ucha Japaridze. The mill in village Gan







**სამცხე-ჯავახეთი**  
**SAMTSKHE-JAVAKHETI**



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი  
(საქართველოს ეროვნული მუზეუმი)

IVANE JAVAKHISHVILI SAMTSKHE-JAVAKHETI HISTORY MUSEUM  
(GEORGIAN NATIONAL MUSEUM)



მისამართი: 0800, ქ. ახალციხე,  
ქ. ხარისჭირაშვილის ქ. 1  
**Address:** 1, Kharischirashvili str.,  
0800, Akhallsikhe  
**Phone/ტელეფონი:** (+995 265) 2 16 22.  
**Website/ვებ-გვერდი:** [www.museum.ge](http://www.museum.ge)  
მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე,  
ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 18 სთ-მდე  
**Working hours:** Everyday except  
Monday, 10 00 - 18 00

მუზეუმში (დაფუძნდა 1923 წელს) თავმოყრილია რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი: ძველი ხელნაწერები, ეპიგრაფიკული, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ეთნოგრაფიული მასალა, ფოტოდოკუმენტები, ხელნაწერთა და ძველ ნაბეჭდ წიგნთა ფონდი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ლაპიდარული წარწერების ნიმუშები, ასევე XIX-XX სს-ის მიჯნის ხალიჩა-ფარდაგების უნიკალური კოლექცია (25 000 ექსპონატი).



ახალციხური ხალიჩა (ფრაგმენტი).  
XIX ს-ის I ნახევარი.  
**Carpet from Akhalsikhe (fragment).**  
First half of the XIX c.




The museum houses the significant part of the region cultural heritage: old manuscripts, epigraphic, archaeology, numismatic, ethnography materials, photo documentation, fund of manuscripts and old printed books. Collection of inscriptions on stone are of special importance, as well as unique collection of carpets and rugs (of the verge of XIX-XX cc.). The museum fund: 25 000 items.


სარიტუალო კერის სადგარი.  
ახალციხე, "ამირანის გორა"  
ადრე ბრინჯაოს ხანა.

Ritual hearth's prop  
Amirani's Gora, Akhaltsikhe  
Early Bronze Age



ჯვარი. მოოქროვილი ვერცხლი. XIX ს.  
Cross. Gilded Silver. XIX c.





**ვარძიის ისტორიულ-ხუროთმოქმედრული სახელმწიფო  
მუზეუმ-ნაკრძალი**

**VARDZIA STATE HISTORY & ARCHITECTURE  
MUSEUM-RESERVE**


მისამართი: 0500, ასპინძის რაიონი, ვარძია  
Address: Vardzia, 0600, Aspindza district  
Phone/ტელეფონი: (+995 99) 11 62 07  
www.georgianmuseums.ge  
მუზეუმის რეჟიმი: ყოველდღე, 9 - 19 სთ  
Working hours: Everyday, 9.00 - 19.00

მუზეუმ-ნაკრძალი (დაფუძნდა 1938 წელს) შედგება XII ს-ის კლდეში ნაკვეთი ისტორიულ-არქიტექტურულ გამოქვაბულთა კომპლექსისა და უფრო ადრინდელი ხანის (X-XII სს.) ანანაურის ძეგლისაგან. მრავალსართულად (13 სართული) გამოკვეთილი კომპლექსი (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, თავდაცვითი და საირიგაციო ნაგებობები, მონაზონთა სენაკები და სხვ.) ძირითადად შეიქმნა 1156-1203 წლებში, თამარის მე-

ფობის ხანაში (1184-1213 წწ.), ხოლო მისი მრავალსართავისანი პალატებისა (120 საცხოვრებელი კომპლექსის 420 სათავსი, 25 მარანი 185 ქვევრით და სხვ.) და ანსამბლის სხვა ელემენტების (სენაკები, სამრეკლო, სატრაპეზო და სხვ.) აგება XVIII-XIV სს-ში



დასრულდა. ამჟამად კომპლექსში შემორჩენილია 242 გამოქვაბული, "სადარბაზო" მცირე ეკლესიით, თამარის სენაკი, სათათბირო ოთახი, სატრაპეზო, სალხინო მარნით, აფთიაქი, ნყალსადენის ტრასა, თავდაცვითი ნაგებობები (საგანგებო სამალავები, საიდუმლო გვირაბები), XIII საუკუნის სამრეკლო და მთავარი ეკლესიის კარიბჭე, ანანაურის ეკლესია XV-XVI სს-ის მოხატულობით, "ლიტანიის ეკლესია" (სულ თხუთმეტი ეკლესია), განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა და კარიბჭის მოხატულობა (1184-1203), სადაც მაცხოვრის ცხოვრების ამსახველ სცენებთან ერთად გამოსახულია გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტები.



The Museum-Reserve was established in 1938, it includes XII c. cave complex and X-XII cc. cave village Ananauri. The cave complex has 13 floors (Dormition of the Virgin church, fortification and irrigation structures, monk cells, etc.) were built in 1156-1203 in reign of Queen Tamar (1184-

1213), other elements the chamber complex (120 living cave units with 420 rooms, 25 wine-cellar with 185 big ceramic jugs, etc.) and other parts (cells, bell-tower, refectory room, etc.) finished in XIII-XIV c.c. At the moment in the complex there are 242 caves, reception-room with a small church, Tamar's cell, Council Room, refectory room, feast room with a wine-cellar, chemist's, pipeline, fortification structures (special spaces to hide, secret tunnels), XII c. bell-tower and gate of the main church, church in Ananauri with XV-XVI c.c. wall paintings, 15 churches. Especially important are wall painting in Dormition of the Virgin church and gate (1184-1203), where along with episodes of the life of Saviour one can see portraits of King Giorgi III and his daughter Queen Tamar.



# ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

## BORJOMI LOCAL MUSEUM

მისამართი: 1200, ქ. ბორჯომი, ნმ. ნინოს ქ. 5

Address: 5, Saint Nino str., 1200, Borjomi

Phone/ტელეფონი: (+995 267) 2 23 62


www.georgianmuseums.ge

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე

Working hours: Everyday except

Monday, 10.00 - 17.00

მუზეუმი დაფუძნდა 1938 წელს. იგი განთავსებულია გერმანელი ინჟინრის ვ. შვეიერის მიერ 1890 წელს აშენებულ რომანოვების ყოფილ კანცელარიაში. მუზეუმში ექსპონირებულია ძვ. წ. I ს-ისა და ძვ. წ. II ათასწლეულის არქეოლოგიური მასალები (ბრინჯაოს ბალთები, საკიდები, VIII - VII სს-ის ბრინჯაოს მხედარი, მინის, თიხის ჭურჭელი, საბრძოლო და შრომის იარაღები), ნუმისმატიკა (კოლხური თეთრის კოლექცია, მანგუ ყაენის მონეტა, თურქული მონეტები), XIX ს-ის I ნახევრით დათარიღებული რომანოვების ნაქონი ფრანგული, იტალიური, ჩინური, იაპონური, გერმანული წარმოების ჭურჭელი, იარაღი, ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა. მუზეუმის ფონდი: 37 699 ექსპონატი.



The museum was established in 1938, it houses archaeological materials of XII-IX cc. B.C.: engraved axes, bronze ram, the Gonio Treasury samples intaglio with Aphrodite and Eros images, I-II cc. golden engraved phial, golden figurine of discus-thrower, golden pendants with images of Helios and decorative motifs, beads made of various materials, fragments of belts (gold, pasta), brooch, religious bronze sculptures, fragments of trunk decorations with images of oak leaves and acorns; ethnographic, folk and applied art samples, manuscripts, fine art items, rare samples of the nature (25 billion years old fossilized tree). The museum fund: 37 699 items.



ადარა  
ADJARA



## აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმი

### KHARITON AKHVLEDIANI ADJARA STATE MUSEUM

მისამართი 6000, ე. ბათუმი, ჯინჯარაძის ქ. 4

Address: 4, Jincharadze str., 6000, Batumi

Phone/ტელეფონი: (+995 882 22) 7 11 75

www.georgianmuseums.ge

მუშაობის რეჟიმი მუშაობს ყოველდღე,  
10 სთ-დან 18 სთ-მდე

Working hours. Everyday, 10 00 - 18 00



მუზეუმი დაფუძნდა 1908 წელს. მასში ამჟამად დაცულია ძვ. წ. XII-IX სს-ის, აგრეთვე VII-IV სს-ის უნიკალური არქეოლოგიური მასალები: ანტიკური პერიოდის ბერძნული შავლაკიანი კრატერი, გრავირებული ცულები, სკულპტურები, გონიოს განძი - ინტალიო აფროდიტესა და ეროსის გამოსახულებით, I-II სს-ის ოქროს ტედური ფიალა, ბადროს მტყორცნე-


უხის ფოთლებისა და ნაყოფის გამოსახულებით და სხვ. აგრეთვე: ბუნების იმეიათი ძეგლები (მათ შორის 25 მლნ. წლის გაქვავებული ხე), XIX-XX სს-ის მიჯნის ეთნოგრაფიული, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმის ფონდი: 180 000 ექსპონატი.




ინტალიო აფროდიტესა და ეროსის გამოსახულებით. ოქრო. ძვ. წ. V ს.  
Intaglio representing Aphrodite and Eros.  
Gold. V c. B.C.

The museum was established in 1908, it houses archaeological materials of XII-IX cc. B.C.: engraved axes, bronze ram, the Gonio Treasury samples intaglio with Aphrodite and Eros images, I-II cc. golden engraved pial, golden figurine of discus-thrower, golden pendants with images of Helios and decorative motifs, beads made of various materials, fragments of belts

ლის ოქროს ფიგურა, ოქროს სარტყლის ფრაგმენტები, გულსაკიდები პელიოსისა და სტილიზებული გამოსახულებებით, სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მძივები, კლიტები, გულსაბნევი, საკულტო დანიშნულების სკულპტურები (ბრინჯაო), სკივრის მორთულობის ფრაგმენტი







გულსაკიდი. ოქრო. გონიო I-II სს.  
Coulomb. Gold. Gonio. I-II cc

(gold, pasta), brooch, religious bronze sculptures, fragments of trunk decorations with images of oak leaves and acorns; ethnographic, folk and applied art samples, manuscripts, fine art items, rare samples of the nature (25 billion years old fossilized tree). The museum fund: 180 000 items.



დისკოს მტყორცნელი. ოქრო. გონიო I-II სს.  
Discobolos. Gold. Gonio. I-II cc.



ვერძი. ბრინჯაო. ძვ. წ. XII IX სს.  
Ram. Bronze. XII-IX cc. B. C.



მედალიონი. ოქრო. გონიო, I-II სს.  
Medalion. Gold. Gonio, I-II cc.

აჭარის ხელოვნების  
სახელმწიფო მუზეუმი

STATE ART MUSEUM OF ADJARA

მისამართი: 6010, ბათუმი, ერა ქ. 8

Address 8. Era str. 6010. Batumi

Phone/ტელეფონი: (+995 862 22) 7 38 94

www.georgianmuseums.ge

მუშაობის რეჟიმი მუშაობს ყოველდღე  
ორშაბათს გარდა, 10 00 - 18 00 სთ.

Working hours Everyday except  
Monday 10 00 - 18 00



მუზეუმში (დაფუძნდა 1998 წელს) დაცულია ცნობილ ქართველ და უცხოელ მხატვართა ფერწერული ტილოები (ნიკო ფიროსმანი, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ს. ბაკალოვიჩი, ა. ზომერი, ა. თერნი, ნ. იგნატოვი, ა. ზანკოვსკი და სხვა), გრაფიკული (ნ. ჭურღულია, ლ. ზამბახიძე, რ. ფეტვიაშვილი, გ. წერეთელი და სხვა) ნამუშევრები, კერამიკის, ხის, მინის, ქედურობის, გობელენის, სკულპტურის (ე. ჯანტარელის "ნიმფა და პატარა ფაუნი", გ. ოჩიაურის "პორტრეტი" და სხვა) ნიმუშები (400 ექსპონატი).



გიგო გაბაშვილი. ორი მოქალაქე 1884  
Gigo Gabashvili. Two citizens 1884



The museum was established in 1998, it houses paintings of well-known Georgian and foreign artists (Niko Pirosmani, D. Kakabadze, L. Gudiasvili, E. Akhvediani, S. Bakalovich, A. Zommer, A. Tern, N. Ignatov, A. Zankovski, etc.) And graphic works (N. Churgulia, R. Petviashvili, L. Zambakhidze, G. Tsereteli etc.) sculpture (E. Gantareli's "Nymph and a Little Faun", G. Ochiauri's "Portrait", etc.), as well as samples of decorative art (ceramics, woodcuts, glasswork, engravings, tapestry). The museum fund: 400 items.

სტეფან ბაკალოვიჩი. მძინარე ქალი. 1884  
Stefan Bakalovich. Sleeping woman. 1884



ე. ჯანტარელი. ნიმფა და პატარა ფაუნსი. 1852  
E. Gantareli. Nymph and little Faun 1852

ლადო გუდიაშვილი. კინტოსი  
Lado Gudiyashvili. Kintos.



# ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი BATUMI ARCHAEOLOGY MUSEUM

მისამართი: 6010, ბათუმი, ილია ჭავჭავაძის ქ. 77

Address: 77, Iliа Chavchavadze str., 6010, Batumi

Phone/ტელეფონი: (+995 822 22) 7 74 89, 7 19 81

E-mail: batumi-arch-museum@yahoo.com

www.georgianmuseums.ge

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა, 9:00 - 18:00 სთ.

Working hours: Everyday except Monday. 9.00 - 18.00

მუზეუმში (დაფუძნდა 1988 წელს) დაცულია აჭარისა და ქალაქის ბათუმის ტერიტორიაზე (ფიჭვნარი, ნამჭედური, ხიხადირი, კვამტა და სხვა) საქართველო-ინგლისის ერთობლივი არქეოლოგიური გათხრების შედეგად და შემთხვევით აღმოჩენილი უნიკალური მასალა მოყოლებული ბრინჯაოს ხანიდან ახ. წ. შუასაუკუნეების ჩათვლით. მათ შორის: ქართული და უცხოური ნარმომავლობის მონეტების უნიკალური ნიმუშები, ბრინჯაოს, მინისა და კერამიკის ჭურჭელი და სხვა. მუზეუმის ფონდი: 13 935 ექსპონატი.

The museum was established in 1988, it houses unique materials from Bronze Age to Medieval times, from archaeological excavations throughout Adjara and in Batumi (Pichvnari, Namchaduri, Khikhadziri, Kvashta) done by the joint Georgian-British expeditions, as well as samples, discovered by accident. There are unique samples of Georgian and foreign origin coins, bronze vessels, glassware and ceramic, etc. The museum fund: 13 935 items.

აფროდიტე. თიხა. I-II სს.  
Aphrodite. Clay. I-II cc





## გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი

### GONIO-APSAROS MUSEUM-RESERVE

მისამართი: 6406, ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი გონიო

Address: 6406, Village Gonio, Khelvachauri district

Phone/ტელეფონი: (+995 99) 92 08 98


[www.georgianmuseums.ge](http://www.georgianmuseums.ge)

მუშაობის რეჟიმი: მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 9:00 - 18:00 სთ.

Working hours: Everyday except Monday, 9.00 - 18.00

მუზეუმ-ნაკრძალის (დაფუძნდა 1994 წელს) ტერიტორია მოიცავს გონიო-აფსაროსის ციხესა და მიმდებარე ტერიტორიას. აღნიშნულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია ელინისტური ხანის მასალა. აღმოჩენილია საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, ნივთიერი მასალა (კერამიკა, ბრინჯაო, ვერცხლი, ოქრო, იუსტინიანე I-ის მონეტები და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გონიოს განძი, რომელიც ძირითადად უნიკალური საიუველირო ნიმუშებისაგან შედგება და ამჟამად დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. მუზეუმის ფონდი: 17 000-მდე ექსპონატი.

The Museum-Reserve was established in 1994, it represents Gonio-Apsaros fortress and its adjoining area. During the archaeological excavations was unearthed rich material of the Hellenistic period (coin of the Macedonian king Antigona Gonata, III c. B.C. ceramics from Sinop, etc.), public buildings, various kinds of goods (ceramic, bronze, silver, gold, - especially significant is so called Gonio Treasury's unique golden jewelry samples). The museum houses Hellenistic period materials, copper coins of Justinian I, samples and ceramics. The museum fund: 17 000 items.



## პეტრა-ციხისძირის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი PETRA-TSIKHISDZIRI STATE MUSEUM-RESERVE

მისამართი: 6212, ქობულეთი, სოფელი ციხისძირი

Address: 6212, Village Tsikhisdziri, Kobuleli district

Phone/ტელეფონი: (+995 99) 49 91 90

E-mail: chavleishvili@yahoo.com

www.georgianmuseums.ge

მუშაობის რეჟიმი: ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 სთ-დან 18 სთ-მდე

Working hours: Everyday except Saturday & Sunday, 10.00 - 18.00

მუზეუმ-ნაკრძალის (დაფუძნდა 1989 წელს) ტერიტორია მოიცავს ადრე-ფეოდალური ხანის ძეგლის - პეტრას ციხის კომპლექსს და მის შემოგარენს. მუზეუმში დაცულია კომპლექსის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა, რომელიც მოიცავს პერიოდს ბრინჯაოს ხანიდან ადრეული შუა საუკუნეების ჩათვლით. კერძოდ: ახ. წ. V ს. ბაზილიკის ნაშთები, არქიტექტურული დეტალები, მოზაიკის ფრაგმენტები, VIII-VI სს-ის სადგომების მასალები, სამსხვერპლოსა და IV-V სს-ის ნაგებობის (ე. წ. "ვილის") ნაშთები, კერამიკული, ნუმისმატიკური მასალა და სხვა. მუზეუმის ფონდი: 7678 ექსპონატი.

